საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №89/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 21 მარტის №-- საჩივრის საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 30 ივლისის №89/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის შესაბამისად.

მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ახსნა-განმარტება წარუდგინა 2020 წლის 08 სექტემბერს.

1. საჩივარში მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 21 დეკემბრის სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ -- -- მოპასუხის წარმომადგენელს სთხოვა სხდომის დარბაზში დარჩენა „რაღაც საკითხთან დაკავშირებით“. მოსარჩელეს მიმართა და უთხრა, რომ „ჩვენ გვაქვს“ კიდევ ერთი პროცესი, მოპასუხის წარმომადგენლის მონაწილეობით და სურდა იმ პროცესთან დაკავშირებით საუბარი.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 02 ივნისს -- რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- თვითმმართველი თემი -- -- გამგეობის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ივნისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

2017 წლის 29 ივნისს -- რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 18 ივლისს -- რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა -- --. მხარემ მოითხოვა საქმის

განხილვის დროულად დაწყება. ამასთან, მიუთითა, რომ სასამართლოს არ უმსჯელია -- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე.

2017 წლის 23 აგვისტოს -- რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და მოითხოვა მტკიცებულებების საქმეზე დართვა.

2017 წლის 21 ნოემბრის -- რაიონულ სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) №-- ადმინისტრაციულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, -- მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა მომდევნო სასამართლო სხდომაზე წერილობითი მტკიცებულებების სახით განჩინების მიღების დროისათვის -- რაიონის სოფელ -- არსებული სასმელი წყლის ვარგისიანობის და სისუფთავის შესახებ დოკუმენტების დედნების ან/და დამოწმებული ასლების სახით სასამართლოში წარდგენა.

2017 წლის 30 იანვრის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 16 მაისის №-- წერილის ძალადაკარგულად გამოცხადება და მოპასუხე - თვითმმართველი თემი -- მუნიციპალიტეტის გამგეობის (უფლებამონაცვლე - -- მუნიციპალიტეტის მერია) მიერ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულ სხდომაზე -- მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ -- -- მიერ გასაჩივრებული -- მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2017 წლის 16 მაისს -- მუნიციპალიტეტის სოფ. -- სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესახებ მიღებული №-- წერილი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, წერილში მითითებულ საკითხებზე არ გამოცემულა და ასევე, არ გამოიცემოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

-- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე -- --) შეწყდა -- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ -- -- სარჩელზე არსებული №- ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ მას თანამდებობრივი პასუხისმგებლობა სრულად აქვს გააზრებული, შესაბამისად, არც მოცემულ საქმეზე და არც სხვა, მის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, არავითარი აკრძალული სახის კომუნიკაცია არ ჰქონია არცერთ მხარესთან და პროცესის მონაწილესთან. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მოცემული საქმის ყველა მასალა, მათ შორის, სასამართლო სხდომის ჩანაწერებით დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის მიერ მოწოდებული მოსაზრება არის არასწორი და მცდარი. მისი მხრიდან კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რაიმე უკანონო და არაეთიკური ქცევას და მხარესთან კომუნიკაციის ფაქტი ბუნებაში არ არსებობს. ასევე, განმარტა, რომ სხდომების დასრულებისას სხდომის მდივანს შესაძლებელია ჰქონდეს და აქვს კომუნიკაცია მხარეებთან მომდევნო სხდომაზე გამოცხადების თაობაზე გაფრთხილების შესახებ, რაც გამორიცხავს აკრძალულ კომუნიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ კატეგორიულად უარყო მისი მხრიდან რაიმე სახის გადაცდომა განსახილველ საქმეზე. ვინაიდან მოცემულ საქმეზე არცერთ მხარესთან სხდომების გარდა კომუნიკაცია არ ჰქონია და შესაბამისად, მსგავსი გადაცდომის ფაქტი არ არსებობს.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა მოსამართლის მიერ ამ კანონის 72^1 მუხლის პირველი პუნქტის ან 72^2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მონაწილეთა ან/და საქმით დაინტერესებულ პირთა მიღება ან მასთან კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია პროკურორის, ადვოკატის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ კანონით აკრძალული ფორმით კომუნიკაციის მცდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქმის მასალებით თანახმად, მოსამართლე -- -- სხდომის დასრულების შემდეგ მოპასუხის წარმომადგენელს სთხოვა დარბაზში დარჩენა „რაღაც საკითხთან დაკავშირებით“, აღნიშნულთან მიმართებით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ 2018 წლის 10 მაისს გამოიკითხა -- მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი -- --, რომელმაც განმარტა, რომ 2017 წლის 21 დეკემბერს იმყოფებოდა -- რაიონულ სასამართლოში და მონაწილეობას იღებდა -- -- საქმის განხილვაში. მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცესის დასრულების შემდეგ სხდომის დარბაზში მოსამართლესთან პირისპირ საუბრის ფაქტი არ ახსენდებოდა, თუმცა აღნიშნა, რომ მოსამართლე -- -- ბევრი ადმინისტრაციული საქმე ჰქონდა -- მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით, სადაც წარმომადგენელი თავად იყო და საქმეებზე ხშირად საუბრობდნენ ხოლმე. კონკრეტულად -- -- საქმის დასრულების შემდეგ სხდომის დარბაზში დარჩენის ფაქტი მხარეს არ ახსოვდა, თუმცა აღნიშნა, რომ სხდომათა დარბაზში დარჩენის შემთხვევაში, სადავო საქმესთან დაკავშირებით არ ისაუბრებდა და მისი საუბრის თემა შესაძლებელია მხოლოდ განჩინების დროულად ჩაბარების ან დოკუმენტების დროულად წარმოდგენის საკითხი ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ -- რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2017 წლის 21 დეკემბერს 12:00 საათის შემდგომ ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო სხდომების, მონაწილე მხარეებისა და მათი წარმომადგენლების თაობაზე. -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 07 მაისის წერილის თანახმად, -- მუნიციპალიტეტის მერიას ან/და -- -- 2017 წლის 21 დეკემბერს -- რაიონულ სასამართლოში პროცესი 12:00 საათის შემდეგ არ ჰქონიათ.

2018 წლის 18 აპრილს სსიპ საერთო სასამართლოებს დეპარტამენტიდან მიღებული ვიდეოჩანაწერის თანახმად, სხდომა დაიწყო 11:08:09 საათზე და დასრულდა 11:33:42 საათზე. სხდომის დასრულების პარალელურად ვიდეო ჩანაწერი სრულდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უტყუარად დადასტურება იმისა დარჩა თუ არა -- -- დარბაზში ან დარჩენის შემთხვევაში რა საკითხზე საუბრობდა მოსამართლესთან შეუძლებელია. აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება მოძიებული ვერ იქნა და არც მხარის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

ამავე კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამავე კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის და ამავე კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიერ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №89/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი